№ 146
კვირა, 11 ივლისი, 1899 წ.

1877—1899

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ივერია

№ 146
კვირა, 11 ივლისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

შვილები გარდაცვალებულის პოდპოლკოვნიკის ქვრივის

სოფიო სვიმონის ასულის გაბაშვილისა

აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მეცხრე დღეს გარდაცვალებისას, 11 ივლისს, კვირას, 12 საათზედ, სამების ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება პანაშვიდი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად. (1—101—1)

ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდე, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

ჯერმოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამ. აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.
განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—75—14)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. საღოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. მ. კარაშეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. ბურკო. 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი 7½—8 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

ახალი ამბავი

⁂ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. წერეთელმა შემდეგი დეპეშა მიიღო მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის იმპერატრიცის მარია თეოდორეს ასულისაგან: **„დიდად მასიამოვნა ქუთაისის თავად-აზნაურთა გულ მხურვალე თანაგრძნობამ იმ განუსაზღვრელ მწუხარებაში, რომელიც მეწვია მე ღვთის განგებით. ღრმად მწუხარე გულით გმადლობ ყველას.“**

„მარია“

ეს დეპეში პასუხი იყო თავად-აზნაურთა წინამძღოლის შემდეგის დეპეშისა:

„მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას დედოფალ იმპერატრიცას მარია თეოდორეს ასულს.

„ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ, გარდაიხადეს რა პანაშვიდი ღვთივ განსვენებულის ნამეტნავად ყველა ჩვენთვის ძვირფასის მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს-ძის სულის მოსახსენებლად, მომანდეს გამოვუცხადო თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას მათი მძიმე მწუხარება ასეთის მოულოდნელის დანაკლისისა გამო“. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. წერეთელი.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ პეტერბურგში ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა განსაკუთრებული დეპუტაცია მიდის ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის კუბოს შესამკობად გვირგვინით. დეპუტაცია ხუთის კაცისაგან შესდგება: გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. კ. ი. მუხრან-ბატონისა, ტფილისის და გორის მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლების გენ.-მაიორის ი. ვ. საგინაშვილისა და თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილისა, პოლკოვნიკის ყარანგოზიშვილისა და ამ ჟამად პეტერბურგში მყოფის ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანისაგან.

⁂ დ. ზუგდიდში გასულ 29 ივნისიდგან ყოველ დღე ადგილობრივს ეკკლესიაში იხდიან პანაშვიდს განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის სულის მოსახსენებლად.

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-ა იუწყება, ღვინის ვაჭარმა ბ-ნმა ყუზანოვმა მიჰმართა ტფილისის გუბერნიის გამგეს და სთხოვა ნება მომეცით ალექსანდრეს ბაღში უსასყიდლო სადილი გავუმართო 500 კაცს, ტფილისის ღარიბ მცხოვრებს, მისის იმპერატორებითის უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის გარდაცვალების გამო.

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი პოლკოვნიკი ი. ნ. სვეჩინი, გუშინ წინ კოჯორიდგან დაბრუნდა ტფილისს და შეუდგა თავისს თანამდებობის აღსრულებას.

⁂ 17 ივლისს ქვემო-ჩიხაისის ახალ თეატრში თავ. ნ. ერისთავის თაოსნობით, წარმოდგენის გამართვას აპირებენ. მიწვეულნი არიან ცნობილი არტისტები ვ. აბაშიძე და ნ გაბუნია ცაგარლისა. უნდა ითამაშონ ავქსენტი ცაგარლის კომედია „ხანუმა“.

⁂ როგორც ვუწყით, კავკასიის სოფლისმეურნეო კომიტეტმა ამერიკულ ვაზის გასავრცელებლად ჩვენში სამგან დააარსა სანერგე: სოფ. საქარასა, ს. ალიანსა და თელავის მაზრაში. გარდა ამისა ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთს ადგილში გაჰმართა სცდელი ვენახები მცოდნე კაცების ხელმძღვანელობით. ზოგიერთმა მემამულეებმა გააშენეს ხუთი ვენახი ამერიკულისავე ვაზისა. ამ ჟამად კომიტეტს განზრახვა აქვს დააარსოს

ფელეტონი

„კახეთის“ მევენახეთა საზოგადოების აწინდელი მდგომარეობა *)

კახეთს მთელს რუსეთის იმპერიაში ერთი საუკეთესო ადგილი უჭირავს როგორც ვენახების სივრცით, ისე ღვინის ღირსება რაოდენობით. ვენახების სივრცით კახეთს უჭირავს მესამე ადგილი (ბესარაბიისა და ქუთაისის გუბერნიის შემდეგ); ღვინის ღირსებით მას ეკუთვნის პირველი ადგილი, ხოლო რაც შეეხება რაოდენობას, კახეთში მოდის $20^0/_0$ კავკასიის ყველა ღვინოებისა და $8,5^0/_0$ მთელის იმპერიის ღვინოებისა. საელდობრ-კი კახეთში წლიურად მოდის 2,400,000 ვედრო ღვინო.

ეს ცნობები გვიჩვენებს, თუ რა თვალ-საჩინო ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მთელის იმპერიისათვის კახეთს, როგორც მეღვინეობის მხარეს. მაგრამ კიდევ უფრო დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მეღვინეობას ადგილობრივ მცხოვრებთათვის; ეს აშკარად სჩანს მარტო იქიდგან, რომ, მაგალ., თელავის მაზრაში, რომელიც შუაგულია კახეთისა, 58,091 დესეტინა ადგილიდგან, რომელიც მეურნეობისათვის ვარგა, 13,500 დესეტინაზედ ($23^0/_0$) გაშენებულია ვენახი, რასაც ვერ ვხედავთ იმპერიის სხვა ადგილებში, სადაც კი მეღვინეობას მისდევენ.

მთელს კახეთში ვენახები გაშენებულია 16,000 დესეტინაზედ, რომელთაგან 5,500 დეს. იმყოფება სიღნაღის მაზრაში, 10,000 დეს. თელავისაში და 500 თიონეთისაში. აქედგან დროებით ვალდებულ გლეხთ ეკუთვნით 2,745 დეს. (3,819 ვენახი), სახელმწიფო გლეხთ 6,963 დეს.; დანარჩენი-კი, სივრცით 6000 დეს. მეტი, ეკუთვნით მესაკუთრე გლეხთ, თავად-აზნაურთ და სხვა წოდების მიწის მფლობელთ. მ. ბალასის აზრით, ყველა ვენახების რიცხვი უდრის 26,016-ს, რომელიც ეკუთვნის 25,845 კომლს; ამ გვარად კახეთის 180 ათას მცხოვრებთა შორის 25,845 კომლი, ანუ 125,000 მცხოვრები მევენახეობას მისდევს.

ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ უმთავრესი საკუთრება კახეთში არის მცხოვრებთა უმრავლესობის ხელში, წვრილ-წვრილად დანაწილებული ვენახები (1 დესეტინამდე აქვს მცხოვრებთა $87^0/_0$-ს თელავის მაზრაში და $89^0/_0$-ს სიღნაღისაში). და მართალაც, ყველა სოფლის მცხოვრებნი კახეთის შუაგულისა—მთელ თელავის მაზრისა და სიღნაღის მაზრის დასავლეთ ნახევრისა, ცხოვრობენ მხოლოდ მევენახეობით, რომელიც შეადგენს მათს ერთად-ერთს საცხოვრებელ სახსარს, რომლითაც იკმაყოფილებენ ყოველ საჭიროებას და იხდიან სახელმწიფო და საერო გადასახადს.

მე-70 და რამოდენიმედ მე 80 წლებამდე კახური ღვინო გამეფებული იყო კავკასიის ყველა ბაზრებზედ, რადგან ის იყო ღირსებით საუკეთესო და ამიერ-კავკასიის უმთავრეს ბაზართან — ტფილისთან — უმახლობელესი ღვინო; ამიერ-კავკასიის სხვა ადგილებში (ქუთაისის გუბერნიის გარდა) მეღვინეობა სუსტად იყო განვითარებული და იქაური ღვინო მხოლოდ ადგილობრივ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იხმარებოდა.

გაჩნდა თუ არა მე 60 წლებში ვაზის ავადმყოფობა „ნაცარი“ კახეთში, პირობები მის საზარალოდ შეიცვალა: მოსავლის შემცირების გამო ღვინოც შემცირდა ბაზრებზედ და დაიწყეს მისი მოტანა სხვა ადგილებიდგან. თითქმის ამავე დროს ფოთი-ტფილისის გზამ (მე-70 წ.) დაუახლოვა ტფილისს ქუთაისის გუბერნიისა და გორის მაზრის ვენახები, ხოლო 1883 წ. შემახიისა, განჯისა, ერევნისა და სხვა ადგილების ვენახები.

ამგვარად ამიერ-კავკასიის ყველა ადგილების ღვინოებს მარჯვე და იაფი გზა გაეხსნა ტფილისისაკენ. კახეთი-კი დარჩა განზედ რკინის გზიდგან და კახეთის ღვინო გაძევებულ იქმნა ბაზრებიდგან. თუ მან კიდევ შეირჩინა უმნიშვნელო ადგილი ბაზრებზედ, შეირჩინა არა როგორც დამოუკიდებელმა ღვინომ, არამედ როგორც ისეთმა ნაწარმოებმა, რომელსაც ჰხმარობენ სუსტისა და უკემურის ღვინოების შესაკეთებლად.

ამ ჟამად ამიერ-კავკასიის ღვინოებს ყველგან კახეთის ღვინის სახელით ჰყიდიან, ხოლო ნამდვილ წმინდა კახურ ღვინოს-კი სხვა ღვინის გაურევლად იშვიათად შეხვდებით. ეს კიდევ ცოტაა. ბაზარზედ გამოაქვთ მრავალი ყალბი ღვინო, რასაც უმთავრესად ის იწვევს, რომ ღვინის ვაჭრები სცდილობენ კახურს დაამგზავსონ თავიანთი ღვინოები, რომლებსაც ურევენ ჯანისათვის მავნებელ ნივთიერებას.

მოესპო რა კახეთს ადგილობრივი ბაზრები, მან თავისი მოუმზადებლობის გამო ახალი ბაზარიც ვეღარ მოსძებნა. ვიდრე კახურ ღვინოს საკმაო ბაზარი ჰქონდა, მთლად იხარჯებოდა პირველ წელსავე; ამის გამო საჭირო აღარ იყო მისი შენახვა რამდენსამე თვეზედ მეტ ხანს და არც მევენახეს ესაჭიროებოდა ღვინის წახდენის საწინააღმდეგო ღონისძიება, რისთაც თავიდგან იშორებდა ზესამხედ ხარჯს. ასეთ უბრალო წესით მომზადებულ ღვინოს შეეძლო დაეკმაყოფილებინა მხოლოდ ადგილობრივი მხმარებელნი, რომელნიც ახალ ღვინოს ამჯობინებენ ძველს, და არა ის მხმარებელნი, რომელთაც გემოვნება საზღვარ-გარეთის ღვინოების მიუჩვევიათ; ამიტომ შეუძლებელი ჰხდებოდა კახურ ღვინის გატანა რუსეთის ბაზრებზედ.

რაც შეეხება იმას, რომ კახური ღვინო გასატან და დასამუშავებელ მასალად გამხდარიყო, ამ მხრითაც ის არ ამოჩნდა ხელსაყრელი შინაურ ბაზრებისათვის. ამ მხრივ არა მარტო კახური ღვინოები, არამედ ამიერ-კავკასიის სხვა ადგილების ღვინოებიც ვერ გაუწევს მეტოქობას ჩრდილო-კავკასიისა, ბესარაბიისა და სხ. ღვინოებს, რომლებიც უფრო ახლო იმყოფება შინაურ ბაზრებთან და უფრო იაფად იყიდება. შინაურ ბაზრებისათვის-კი (მოსკოვისა, ნიჟნისა და სხვებისთვის) საჭიროა მხოლოდ იაფი ღვინო; ეს ბაზრები არის ის უმთავრესი შეგუბული ადგილები, სადაც ის ზავდება დაუმუშავებელი ღვინო თითქმის ყველა ადგილიდგან, სადაც კი მევენახეობას მისდევენ; აქედგან ეს ღვინოები დამუშავების შემდეგ ევროპიულ ღვინის სახელით გაიტანება რუსეთის ყველა კუთხეში სახმარად. შენიშნულია, რომ გატანილ ღვინის რაოდენობა მოსკოვიდგან წლითი წლობით მუდამ აღემატება შემოტანილის რაოდენობას იმისდა მიუხედავად, რომ მრავალი ღვინო იხმარება თვით ქალაქშიცა და მის ახლო მახლო ადგილებში. ეს

---

*) აქ აღნიშნული ცნობები ამოკრებილია თვით ამ საზოგადოების „განსამარტებელ წერილიდგან“.

ახლო მომავალში მრავალი სანერგე ამიერ-კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეში, სადაც-კი ღვინო მოდის.

⁂ 9 ივლისს ტფილისის ქალაქის მოურავმა წარუდგინა საგუბერნიო მთავრობას ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გამგეობას ნება მიეცეს განაგრძოს მოქმედება ცხენის რკინის გზის გამოსასყიდად.

⁂ როგორც ისმის, ბ-ნს ივან ბრონიცკის შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ მას ნება დაერთოს დააარსოს ტფილისში საიურიდიო კაბინეტი რჩევების მისაცემად და სასამართლოს საქმეთა შესახებ ქაღალდების შესადგენად. სასყიდელი ასეთის სამსახურისათვის მომჩივანებთან მორიგებით დაინიშნება. ხოლო შეუძლებელთათვის საქმის გაკეთება უფასო იქნება.

⁂ ვაჭრების მიერ სისუფთავის დაუცველად ტფილისის პოლიციმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა საჭიროდ სცნო გააძლიეროს პოლიციის ზედამხედველობა ქალაქის იმ უბნებში, სადაც მრავლად ისყიდება სხვა-და-სხვა გვარი სანოვაგე, და ამ აზრით წინადადება მისცა ბოქაულებს, თვალ-ყური ადევნეთ ნაწილის ზედამხედველთაგან მათის მოვალეობის ასრულებას იარმუკასა, მოედანსა და კახეთის მოედანზედაო. სხვათა შორის, ბოქაულებმა ზედამხედველობა უნდა იქონიონ იმაზედაც, რომ ვაჭრები თავაზიანად ექცეოდნენ ხალხს.

⁂ ფინანსთა სამინისტრომ შესაძლებლადა სცნო ნება დართოს, რომ ყველა ის მაგარი სასმელი, რომელსაც მთიულები ჰხმარობენ, უბიჟოდ იქმნას გამოხდილი დუშეთის მაზრის შემდეგს სოფლებში: ნოჯიკეთსა, ნოჯასა, ხეოზასა, საცხავათლოსა, სხვარისჩალიოსა, ლელუბანსა, მუგვლიანსა, თეზამსა, ჩილაანთ-კარსა და ბურიანში.

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ წარუდგინა დასამტკიცებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოების წევრთა კომისიის-მიერ შედგენილი პროგრამა სასტატისტიკო ცნობების შეკრების შესახებ.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქს ამბავი მოუვიდა, რომ უნივერსიტეტებსა და სპეციალურ სასწავლებლებში თავისუფალია 30 ადგილი კავკასიელ სტიპენდიანტთვისაო.

⁂ რადგან საფოსტო-სამგზავრო მატარებლები (№№ 1 და 2) ტფილისიდგან ბათუმამდე მუდამ ავსებულია მგზავრებით, ამის გამო გზის სამმართველომ განკარგულება მოახდინა, რომ 15 ივლისიდგან მოისპოს მგზავრთა და ბარგის მიღება ავჭალის სადგურიდგან ქ. გორამდე, რადგან ტფილისიდგან ყოველ დღე დადიან გორამდე განსაკუთრებული მატარებლები.

⁂ ტფილისის სამოსწავლო ინსტიტუტის მთავრობა აცხადებს, რომ წელს მისაღები ეგზამენები ინსტიტუტში დაიწყობა 26 აგვისტოს, ხოლო ამ ინსტიტუტთან არსებულ სამოქალაქო სასწავლებელში — 30 აგვისტოს.

⁂ როგორც გაზ. „ყარსი“ იუწყება, ტფილისიდგან ყარსში პირველი მატარებელი ახლად გაყვანილ ტფილისს-ყარსის რკინის გზით მივა დღეს, 11 ივლისს. ყარსის მოქალაქეთ აზრადა აქვთ დაჰხვდნენ ამ მატარებელს და პარაკლისი გარდაიხადონ. 11 ივლისიდგან დროებით დაიწყობენ მატარებლები სიარულს ტფილისსა და ყარსს შუა. მატარებლები სამჯერ ივლიან კვირაში. აგვისტოდგან სამუდამო მიმოსვლა დაიწყობა.

⁂ „ახ. მიმ.“-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ერმოლოვი კავკასიაში წამოვიდაო.

⁂ როგორც „Бирж. Вѣд.“ იუწყება, მთავრობამ დაადგინა საქართველოს საექსარხოსოს საეკლესიო სკოლებისათვის გადადებულ იქმნას ხოლმე ამიერ-კავკასიის საერობო თანხიდგან ყოველ წლიწადს ხუთას-ხუთასი თუმანი.

⁂ გაზეთების სიტყვით, მთათა დეპარტამენტმა დაავალა კავკასიის სამთო გამგეობას წარუდგინოს დაწვრილებითი ცნობები კავკასიაში არსებულ სამთო ქარხნების მდგომარეობის და მათ წარმოების რაოდენობის შესახებ და აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში არიან ამ ქარხნების მუშები, როგორ არის სანიტარულად მათი სადგომები მოწყობილი და სხვა მუშების შესახები ცნობები.

⁂ ფოთი. 6 ივლისს ქალაქის საბჭოს მოახსენა ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ნიკოლაძემ, რომ მთავრობამ შეიწყნარა ჩემი შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ნავთ-სადგური ელექტრონით იქმნას განათებულიო. შემდეგ სთქვა, რომ რადგან ნავთ-სადგური ელექტრონით იქმნება განათებული, ამ ძალის გამოყენება სხვა საქმისთვისაც შეიძლებაო, როგორც, მაგალითად, რკინის გზის გასაყვანათო და ქალაქს არც ძვირად დაუჯდება ესო. საბჭო დაეთანხმა ბ-ნ ნიკოლაძეს და დაადგინა რკინის გზა გაიყვანოს ქალაქის შუა გულიდგან ნავთ-სადგურამდე.

⁂ ხვალინდელს კრებაზედ ტფილისის ქალაქის საბჭო საბოლოოდ განიხილავს ხარჯთ-აღრიცხვას და ამოარჩევს ქალაქის ლომბარდის გამგის კანდიდატს. საბჭო განიხილავს აგრეთვე სხვა წვრილმან საქმეებსაც.

◆

წერილი სახალინიდგან.

1897 წელს ყაჩაღად გავარდა სილოვან ბარათაშვილი და თითქმის წელიწადნახევარზედ მეტი იცუდბოროტა. იგი იყო ქუთაისის გუბერნიის და შორაპნის მაზრის მცხოვრებელი. იმას გათავებული არა ჰქონდა კატორღა, როცა ყაჩაღად გავარდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ციხის უფროსმა გაროზგვა დაუპირა მას. ბარათაშვილი გადავარდა იმ განზრახვით, რომ ციხის უფროსი უნდა მოეკლა; სამჯერ დაეცა მას თავზედ სახლში, უნდა ამოეწყვიტა ოჯახობაანად, მაგრამ უფროსი სახლში არ დაუხვდა, ზოგჯერ კიდევ ღამის დარაჯმა შეუშალა ხელი, და ამ რიგად გადაურჩა ციხის უფროსი პატრონი სიკვდილს. ბევრი ჯარის-კაცი და პოლიციის მოხელე დაიხოცა ბარათაშვილის დაჭერაზე. მთელი სახალინის უფროსები დიდს შიში იყვნენ—სილოვანი თავს არ დაგვეცესო. დღე და ღამე არ გავიდოდა, რომ სილოვანი არ ეხსენებინათ აქაურს უფროსებს, მეტადრე ციხის უფროსს პატრონს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს. ნათქვამია ძველთაგან —„ციხე შიგნიდგან ტყდებაო“ და ბარათაშვილსაც ისე დაემართა: მას უღალატა იმან, ვინც პურსა და პატრონებს უზიდავდა და მძინარეს თავს დაასხა მთელი ბატალიონი ჯარი ტიმოვცკას ოლქის ტყეში. მოჰკლეს სილოვან ბარათაშვილი; მისი ორი ამხანაგი —ზაქარა ოხონელიძე, ტფილისის გუბერნიის მცხოვრები, და ერთი რუსი შეიპყრეს. ამათ წინააღმდეგ გამოძიება სწარმოებს; ჩამოურჩობლად ვერ გადარჩებიან. გასაკვირველი ის იყო ბარათაშვილის მხრით, რომ უფროსების გარდა სხვას არავის ერჩოდა.

ამ ორმა ქართველმა — ერთმა იმერელმა და ერთმა ქართლელმა — გადაურჩეველი ჩირქი მოსცხო სახალინის კუნძულზედ მცხოვრებ ქართველობას. ამ შემთხვევამდის აქაურ ქართველებს ისეთი ნდობა და სახელი ჰქონდათ, რომ უკეთესი არ გამოითქმის, ეხლა-კი ყველანი განზე გვიყურებენ.

„ივერიის“ საშუალებით უგულითადესს მადლობას ვუცხადებ როგორადაც მე, ისე ყველა სახალინელი ქართველი ქალაქ ვლადივოსტოკის ჯარის მღვდელს მამა სოლომონ იმერლიშვილს, რომელმაც არ დაიზარა და თავისი სურათი გამოგვიგზავნა, რითაც დიდად გვანუგეშებს; გარდა ამისა, შეგვპირდა სახალინში მოსვლას ქართულს ენაზედ წირვა-ლოცვის გარდასახდელად ჩვენთვის. ყველა ქართველი ადვილად იგრძნობს, როგორ მოუთმენლად მოველით იმ სანატრელ ჟამს, როცა მამა სოლომონი შეგვისრულებს თავისს დანაპირებს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან რაც სამშობლოს მოვშორდით, მერე ქართული წირვის ღირსი არ გავმხდარვართ ჯერ.

სახალინის ქართულ სამკითხველოს გამგე ალ. არდიშვილი

◆

რუსეთი

— წელს ხარკოვის სატეხნოლოგო ინსტიტუტში 213 თავისუფალი ვაკანსიაა. ჯერ მიიღებენ უეგზამენოდ უმაღლესს სასწავლებლებში კურს დამთავრებულთ და მერე სხვებს. საშუალო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულთ საკონკურსო ეგზამენს მაშინ დაუჭერინებენ, თუ შემსვლელთა რიცხვი თავისუფალ ვაკანსიების რაოდენობას აღემატება. ეგზამენები იქმნება: მატემატიკასა, ფიზიკასა და რუსულს ენაში; დაიწყო-

---

იმას გვიჩვენებს, რომ მოსკოვი გადაქცეულა ისეთ ვეებერთელა ლაბორატორიად, სადაც მზადდება ღვინო წყლისა და სხვა-და-სხვა გვარ ნივთიერების გარევით.

ამ სახით, მხმარებლებს აწვდიან ღვინოს არა ღვინის ადგილებიდგან, არამედ სამრეწველო ცენტრებიდგან, სადაც არ არის არც ერთი ვაზი.

ასეთ პირობებში მეტად შევიწროებულია ვაჭრობა ბუნებრივის, განსაკუთრებით-კი კახურის ღვინით, რომელსაც მეტი ფასი და განსაკუთრებული თვისებანი აქვს და რომელნიც ამასთან ძნელი გადასაკეთებელია. კახურ ღვინოების ვაჭრობის საქმე ხელში აქვთ ჩაგდებული სირაჯებს. ესენიც სარგებლობენ იმითი, რომ მევენახენი იძულებულნი არიან გაიტანონ ბაზარში მთელი თავიანთი მოსავალი ერთსა და იმავე დროს, მაშინვე, როგორც-კი ღვინო მოიწევა, რადგან დიდად უჭირთ ფული და ამასთან უძნელდებათ ღვინის შენახვა; სარგებლობენ აგრეთვე მარჯვე გზებით, რომელთა შემწეობით ახერხებენ იყიდონ ღვინო იქ, სადაც უფრო ხელსაყრელია; სარგებლობენ კრედიტითაც, რომელიც ნებას აძლევს გაჰყიდონ საქონელი, როცა ეს უფრო ხელ-საყრელია, —ყოველისავე ამის მეოხებით იმათ ხელში ჩაუგდიათ ყველა მწარმოებლები, ირჩევენ იმ ნაწარმოებს, რომელიც ამა თუ იმ დროს უფრო სახეიროა იმათთვის, ბედის ანაბარად სტოვებენ დანარჩენ ნაწარმოებს და აძლევენ სწორედ იმდენ ფულს, რომ მევენახეს საბოლოვოდ არ დაუკარგონ ღვინის მოყვანის ხალისი.

აგრონომი ტიმოფეევი ასე გვიხატავს ადგილობრივის ჩარჩების მოქმედებას: „ტფილისის სირაჯები, რომლებიც ამქრებად შეერთებულან, მეტის-მეტად თანხმობით ჰმოქმედებენ და ღვინის ყიდვის დროს ხშირად ინაწილებენ ერთმანეთს შორის ცალ-ცალკე ადგილებს, რომ ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. მივლენ თუ არა სოფელში, დადიან კარის-კარს, აჭაშნიკებენ და აფასებენ ღვინოებს, თან იწერენ, იხსომებენ, თუ სად დააჭაშნიკეს ღვინო და რა ფასი შეაძლიეს. თუ ღვინის გამყიდველმა დიდი ფასი მოითხოვა, მაშინ თითოეული შემდეგ მისული ჩარჩი სულ უფრო ცოტას აძლევს, და ამ რიგად უკეთებენ ფასს, როგორც უნდათ. ღვინის გამყიდველს ასეთ შემთხვევაში კეთილის მყოფელად მიაჩნია პირველი ჩარჩი, თუ იმისაგან პირველად შეძლეული ფასი მიიღო. ხშირად ჩარჩები სარგებლობენ დალალების დახმარებით, რომელნიც უმეტეს ნაწილად ადგილობრივნი ღვინის ვაჭარნი არიან და კარგად იციან თითოეულ მევენახის მდგომარეობა... „მრავალ შემთხვევაში ჩარჩები და ადგილობრივი მედუქნენი ფულს აძლევენ გლეხებს და მემამულეთ; ამასთან მომავალ მოსავალს ჰყიდულობენ წინდაწინვე დანიშნულ ფასით, ან-და მოსავლის უმეტეს ნაწილს იგდებენ ხელში უზომო სარგებელში; ამ საშუალებით წინდაწინვე აწესებენ ღვინის მაზანდას“.

„ჩარჩები სიამოვნებით იძლევიან ზედ-მეტ ფულს, რომ მოვალეები ვერ გაუსწორდნენ მათ ერთის წლის განმავლობაში. ვალი და სარგებელი შემდეგში იზრდება და მევენახენი ბოლოს და ბოლოს სრულიად ჰკარგავენ თავიანთ მამულებს, რომელიც ჩარჩების ხელში გადადის“.

ამ რიგად, მთელის კახეთის მცხოვრებნი ხელში ჰყავთ ჩაჭერილი წურბელებს და მხოლოდ იმ შრომის სიყვარული და ჩვეულება, რომელსაც მათი წინაპრები ეწეოდნენ, და აგრეთვე სხვაგვარ საარსებო სახსრის უქონლობა, ნებას არ აძლევს თავი დაანებონ საზარალო საქმეს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მევენახის შემოსავლის ასეთი თანდათანი კლება აუცილებლად გამოიწვევს გაკოტრებას, თუ წინდაწინვე მიღებულ არ იქმნა რაიმე ღონისძიებანი ამ გარემოების საწინააღმდეგოდ.

ყოველსავე ზემოხსენებულს ის დასკვნა მოსდევს, რომ კახეთის მცხოვრებთა შევიწროებულ ეკონომიურ მდგომარეობის მიზეზები არის: 1, გონივრულის მეღვინეობის უცოდინრობა და 2) ღვინის ვაჭრობის გაუწეს-რიგებლობა. არ კმარა მარტო წარმოება, საჭიროა კიდევ ნაწარმოების გადაქცევა საქონლად და გაყიდვა, ხოლო ხელსაყრელად გაყიდვისათვის საჭიროა ვაჭრობის გაწესრიგება და არა საშემთხვევოდ მიგდება. ვაჭრობის გასაწესრიგებლად უნდა თავიდგან აშორებულ იქმნას მრავალი შუამავალი. მწარმოებელთა და მხმარებელთა შორის, ე. ი. როგორც მეღვინეობას, ისე ვაჭრობას თითონ მწარმოებლებმა უნდა მოჰკიდონ ხელი.

შეიგნეს რა მევენახეთ ჩარჩებისაგან თავიანთის დამოკიდებულების მიზეზი, არა ერთხელ სცადეს მათგან განთავისუფლება და ამ აზრით პირდაპირ თითონ დაიჭირეს საქმე მხმარებლებთან, რისთვისაც ღვინის საწყობები დააარსეს ტფილისში. მაგრამ ისინი ჰმოქმედებდნენ ცალ-ცალკე, განკერძოვებულად, ამასთან არა ჰქონდათ არც ცოდნა, არც საშუალება ვაჭრობის გასაწესრიგებლად და გასაფართოებლად და ამის გამო მათმა ცდამ ყოველთვის ფუჭად ჩაიარა.

ასეთ გარემოებაში მეოთხმოც-დაათე წლებში კახეთის მევენახეთ აზრად დაებადათ თითონ მოეწყოთ ღვინის ვაჭრობის საქმე, იმ იმედით, რომ შეერთებულ ძალით შეიძლება იმის გაკეთება, რასაც ვერ გააკეთებს ცალკე ადამიანიო.

ის საგნები, რომლებიც უნდა შესრულებულიყო, ცხადი იყო:

1) მეღვინეობის გაწესრიგება.
2) ახალ ბაზრების გახსნა ღვინის გასასყიდად.
3) პირდაპირ თვით მხმარებლებთან საქმის დაჭერა.

ამ საფუძველზედ 1893 წ. შემუშავებული „კახეთის მევენახეთა საზოგადოების“ წესდების პროექტი დამტკიცებულ იქმნა მთავრობის მიერ 1895 წ. აგვისტოს თვეში. საზოგადოების მოწყობილება სულ უბრალოა: კახეთის ყველა მევენახეს უფლება აქვს შეიქმნას საზოგადოების წევრად; წევრნი ვალდებულნი არიან გადასცენ საზოგადოებას მთელი თვისი ღვინის მოსავალი გასაყიდად; ღვინო დაფასების შემდეგ ინახება საზოგადო საწყობებში. ღვინის ანგარიშს წევრები იღებენ მის გაყიდვის შემდეგ; ამასთან ეძლევათ ფული ამ თავითვე (ღვინის ღირებულობის ერთი მესამედი).

საზოგადოების საშუალებას შეადგენს: 1) ერთდროებითი საწევრო გარდასახადი—20 მან. თითოეულ დესეტინა ვენახზედ იმ წევრისაგან, რომელსაც აქვს 5 დესეტინამდე, ხოლო იმ წევრისაგან-კი, რომელსაც 5 დესეტინაზედ მეტი აქვს, კიდევ ათ-ათი მან. თითოეულ ზედ-მეტ დესეტინაზედ, და 2) ყოველ წლიური საწევრო გარდასახადი, რომელიც შესდგება წევრების-მიერ წარდგენილ ღვინის ღირებულობის

ბა 17 აგვისტოს; ხოლო ლექციების კითხვას სექტემბრიდგან შეუდგებიან.

— მთავრობას აზრადა აქვს ცვლილებანი მოახდინოს საგუბერნიო სამართველოებში. როგორც ისმის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი ამის შესახებ წარედგინა სახელმწიფო საბჭოს განსახილველად მომავალ შემოდგომაზედ.

— სენატმა განმარტა, რომ ქალაქის მოურავის მოადგილეს, როდესაც ქალაქის მოურავის თანამდებობას ასრულებს, ქალაქის მოურავის ჯამაგირი არ უნდა ეძლეოდეს, თუ საბჭომ არ დაადგინა. ასეთი ჯამაგირის უნდა მიეცეს მხოლოდ მაშინ, როდესაც თვით მოურავი თანამდებობიდგან გადაყენებული იქმნება.

— სამოსწავლო უწყებამ ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ ლიუტერანთა სკოლების მასწავლებელთათვის ისეთივე სამოსწავლო სემენარიები იქმნას დაარსებული, როგორიც დღეს რუსულ სკოლების მასწავლებელთათვის არსებობს.

— წარსულ ზამთარს ქ. სარატოვში დაარსებულ იქმნა საკომერციო კურსები. წელს, შემოდგომაზედ კიდევ, როგორც „Кур.“-ი იუწყება, აზრადა აქვთ ამავე ქალაქში საშუალო საკომერციო და სავაჭრო სკოლები დააარსონ. წესდებანი ამ სკოლებისა მთავრობას უკვე დაუმტკიცებია.

— ამას წინად ლაპარაკი იქმნა აღძრული იმის შესახებ, რომ იმ დანტისტებს, რომელთაც კბილის ექიმობის კაბინეტები აქვთ, ქალაქის სასარგებლოდ გარდასახადი გამოერთვას ხოლმე. ეხლა სენატმა განმარტა, რომ ამ კაბინეტებს გარდასახადი არ დაედება, რადგან შეუძლებელია კაბინეტი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებად იქმნას ჩათვლილიო.

— თხოვნების მიღების ვადა წელს მოსკოვის უნივერსიტეტში დანიშნულია 15 ივლისიდგან 10 აგვისტომდე. საერო განათლების სამინისტროს განკარგულების გამო უნივერსიტეტში მიღებულ ებრაელთა რიცხვი უნდა უდრიდეს მხოლოდ 3 პროცენტს ყველა მისაღებ ყმაწვილ კაცთა რიცხვისას.

— სენატმა განმარტა, რომ რკინის გზების აბონემენტის ბილეთების გაყიდვა, რომელიც არ არის კანონით აკრძალული, არ შეადგენს ისეთ დანაშაულს, რომელიც უნდა დაისაჯოს იმის მიუხედავად, ერთხელ ჩაუდენია ვისმე ეს საქმე, თუ რამდენ ჯერმე. მაგრამ თუ აბონემენტის ბილეთების გაყიდვა ხელობად გადაქცეულა, მაშინ ეს საქმე იმავე წესებს უნდა დაუქვემდებაროს, როგორსაც ყოველი ვაჭრობა ექვემდებარება, და უნდა ნება დართულ იქმნას მხოლოდ იმ პირობით, რომ ბილეთებით მოვაჭრემ განსაკუთრებული მოწმობა აიღოს და გარდასახადი გამოიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ვაჭარი პასუხის გებაში იქმნება მიცემული საადმინისტრაციო და არა სამოსამართლო წესით.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ შემუშავებულ იქმნას წესრიგი შავი ზღვის გუბერნიის დასახლების დასაჩქარებლად.

უცხოეთი

ინგლისი. ლანკაშირის ქალაქ ოლდგამში განთავისუფლდა კომმონერთა ორი ადგილი. ორსავე ამ ადგილს ხან კონსერვატორები იგდებენ ხელში, ხან ლიბერალები, ხოლო გამარჯვება ხვდება ამა თუ იმ დასს მხოლოდ მცირეოდენის ხმის უმეტესობით. 1895 წ. ორსავე ადგილზედ არჩეულ იქმნა ორი ტორი (კონსერვატორთა წარმომადგენელი). ხოლო რადგან ამ ჟამად კონსერვატორთა მთავრობა შესამჩნევად დაუძლურდა, ამის გამო ლიბერალები სამართლიანად იმედოვნებენ, გამარჯვება ჩვენი იქნებაო. მაგრამ ტორებმა შემდეგს ხრიკს მიჰმართეს: მათ წამოაყენეს თავიანთ კანდიდატებად, ერთის მხრით, ლორდი ჩერჩილი, რომლის წინაპრები მინისტრებად იყვნენ კონსერვატორთა კაბინეტებში, და, მეორე მხრით, მუშა ფეიქარი მაუდსლი, რომელიც მთელის 10 წლის განმავლობაში ფეიქართა კავშირის (ტრედ-იუნიონის) მდივნად იმყოფება, მათ დელეგატად იყო მუშათა ყველა კონგრესებზედ, იბრძოდა 8 საათის სამუშაო დღის შემოსაღებად და საზოგადოდ ისეთის პროგრამით მოქმედებდა, რომელიც მეტად უახლოვდება სოციალიზმს. საუცხოო სურათია! კონსერვატიზმი და სოციალიზმი, ბრწყინვალე ლორდი და ვიდაც მუშა ხელ ხელ ჩართულნი გამოდიან ბრძოლის მოედანზე!

ერს სწყურიან დემოკრატიული რეფორმები; კონსერვატორთა დასს სწყურიან სახელმწიფოს დაებატონოს და აი 1895 წლის არჩევნებზედ ის დაჰპირდა თავისს ამომრჩევლებს დემოკრატიულს რეფორმებს და კიდეც გაბატონდა. მაგრამ კონსერვატორებმა მოატყუეს ხალხი. მათ გაატარეს მხოლოდ მცირე ნაწილი დაპირებულ რეფორმებისა და კიდეც შეჩერდნენ. და აი ხალხმაც ზურგი შეაქცია კონსერვატორთ. ხალხის ერთმა ნაწილმა გადასწყვიტა გაჰგზავნოს პარლამენტში თავიანთი საკუთარი მუშა დეპუტატები. მეორე ნაწილი, ნაკლებად განვითარებული, ძველებს ჩვეულების მალით ისევ ლიბერალებს დაუბრუნდა. დასასრულ, ცალკე პირებმა ამჯობინეს დარჩნენ ისევ კონსერვატორებთან მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ „კონსერვატორთა დასი ყველა სხვა დასებზედ უფრო ნაკლებ პირმოთნეაო“. სწორედ ასეთის მოსაზრებით ხელმძღვანელობდა მაუდსლიც, როცა ის კონსერვატორთა კანდიდატობაზედ დასთანხმდა. კონსერვატორებმა კი სიამოვნებით მიიღეს მუშის კანდიდატურა იმ იმედით, რომ „რადიკალებს“ ასეთის ხრიკით თვალებს აუხვევდნენ. მაგრამ ამ ხრიკმა ფუჭად ჩაუარა კონსერვატორთ. ორსავე ადგილზედ არჩეულ იქმნენ ლიბერალები დიდის ხმის უმეტესობით, რაც ჯერ არ მომხდარა ქ. ოლდგამში. ეს აშკარა ნიშანია მთავრობის მიმართ ერის ნდობის დაცემისა. ამაზედ არა ნაკლებ თვალსაჩინო ნიშანია ისიც, რომ ამ დღეებში კომმანერმა ჟასტლიმ განაცხადა, ვტოვებ კონსერვატორთა ბანაკს, რადგან ისინი მხოლოდ ლენდლორდთა და სამღვდელოების ინტერესების სასარგებლოდ განაგებენ სახელმწიფოსაო. და მისი კონსერვატორი ამომრჩევლნი თანაგრძნობით მიეგებნენ მის დემონსტრაციულს გადასვლას მემარჯვენეთა რაზმიდგან მემარცხენეთა რაზმში.

— მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად საზოგადოებათა პალატამ შეიწყნარა ის კანონი, რომელიც ნებას აძლევს ქალებს არჩეულ იქმნენ ხმოსნებად ლონდონის ქალაქის საბჭოებში და ბალფურიც მომხრე იყო ამ კანონისა. ლორდთა პალატაში სოლსბერიმ გაცხარებით ილაპარაკა ამ კანონის სასარგებლოდ, მაგრამ ლორდებმა მაინც უარჰყვეს იგი დიდის ხმის უმეტესობით. ამ დღეებში ეს კანონი ხელ-მეორედ დაბრუნდა საზოგადოებათა პალატაში. ახლა-კი ბალფურმა მის წინააღმდეგ ილაპარაკა და ურჩია კომონერებს, დაემორჩილეთ ლორდებს, რადგან „არა ღირს ასეთი უმნიშვნელო საქმისათვის პარლამენტი მოვაცდინოთო“... და საზოგადოებათა პალატამ უარ ჰყო კანონი და ამით შეავიწროვეს ისედაც ვიწრო უფლებები ქალებისა, ოღონდ ბრწყინვალე ლორდებისათვის-კი არ ეწყენინებინათ.

ესპანია. ქ. იგუალდში არეულობის დროს მემბოხენი ცდილობდნენ იერიშით აეღოთ იეზუიტთა მონასტერი და დაეწვათ. ბერები თავს იცავდნენ ძველებურ თოფებით. ამბობენ, რომ ესპანიის ზოგიერთ მონასტრებს გადაუწყვეტიათ მფარველობა სთხოვონ ინგლისის მთავრობას.

ბელგია. იმ კომისიის პირველ სხდომაზედ, რომელსაც მიენდო საარჩევნო ცვლილების ახალ პროექტის შემუშავება (მთავრობის პროექტის მაგივრად) სოციალ-დემოკრატებმა გარდასწყვიტეს, ახლავე განვაცხადოთ, რომ ჩვენ არავითარ საარჩევნო ცვლილებას არ მივიღებთ, თუ წინდაწინ კონსტიტუცია არ იქმნება გადასინჯულიო. მოსალოდნელია, რომ კომისიის სხდომებზე დიდი ალიაქოთი მოხდება. მთავრობა თავგამოდებით სთხოვს რომის პაპს, დაუნიშნეთ კათოლიკეთა დემოკრატებს საეკლესიო სასჯელი იმ წინააღმდეგობისათვის, რომელსაც ისინი ჩვენ, მთავრობას გვიწევენ სხვა დასებთან ერთადო, მაგრამ პაპმა შეუთვალა, არ შემიძლიან შევასრულო თქვენი თხოვნა, როგორც უნდა მოიქცნენ კათოლიკე დემოკრატები თქვენს წინააღმდეგაო.

— ბრიუსელიდგან იუწყებიან, რომ ბურგომისტრმა ბულსმა ნება დართო სოციალ-დემოკრატებს გამართონ ყოველ-გვარი დემონსტრაციები, მაგრამ პასუხის გება-კი წესიერების დაცვისათვის კრებებზედ უნდა იკისრონ თვით სოციალ-დემოკრატებმაო; პოლიცია უნდა თვითონ მათ მიიწვიონ საჭიროების დროსაო. ბურგომისტრის ასეთი წინადადება დიდ გამარჯვებად მიაჩნიათ აქ სოციალ-დემოკრატთათვის.

დამაკვირდა

ინებე, შენთანა მყოფთა რათა ჰრცხვენოდეს შენგან უფროსს, ვიდრეცა ეში-

---

15 $^0/_0$-ისაგან. ორივე ამ შემოსავლიდგან ყოველ წლივ 10$^0/_0$ გადაიდება სათადარიგო თანხად. საზოგადოებას უფლება აქვს სესხი აიღოს თავისს საჭიროებისათვის, რომლის წინაშეც პასუხს აგებს თავისის ქონებით...

საზოგადოების წესდებიდგანა სჩანს, რომ ამ საზოგადოებას არ აქვს ვიწრო-კომერციული ხასიათი. მის მისწრაფებას შეადგენს წარმოების გაფართოება და ნაწარმოების გაუმჯობესება თვით მწარმოებელთა სასარგებლოდ. საზოგადოება, წევრად იღებს რა ყველას, წოდების განურჩევლად, სცდილობს შეაერთოს კახეთის მევენახენი როგორც მწარმოებელთა, ისე მხმარებელთა სასარგებლოდ.

აზრადა აქვს რა საზოგადოებას: გააცნოს თავის წევრთ საჭირო ტეხნიკური ცნობები მევენახეობის შესახებ, გაავრცელოს მათ შორის საუკეთესო ჯიშის ვაზი, შეასრულოს იმათი მინდობილება ვენახის ნაწარმოების ყიდვა-გაყიდვის შესახებ, მოამზადოს ღვინის გარდა ვენახის სხვა ნაწარმოებიც, გამოსცეს წიგნები და აგრეთვე დროგამოშვებითი სპეციალური ჟურნალი, ყოველივე ამით ის უეჭველად დახმარებას უწევს მთავრობას, რომელიც ასეთ საგნებისათვის დიდძალს ფულსა ჰხარჯავს.

დასასრულ, საზოგადოებას ადვილად ვერ მიეცემა ზარალი, რადგან ის არა ჰკისრულობს გადაუხადოს წევრთ უთუოდ ღვინის სრული ღირებულობა, არამედ ვალდებულია მისცეს მხოლოდ გაყიდულიდგან ამოგებული ფული.

საზოგადოებამ მოქმედება დაიწყო 1896 წ. 2 იანვარს, როცა მას 39 წევრი ჰყავდა. ეს მეოთხე წელიწადია მოქმედებს საზოგადოება და ამ ხნის განმავლობაში შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო. თავდაპირველად მოაწყო თავის წევრთა ღვინოების გაყიდვის საქმე, რისთვისაც გამართა ღვინოების საწყობები და მაღაზიები ტფილისსა, ბაქოსა და მოსკოვში, ვაჭრობა გამართა რუსეთის შინაურ ბაზრებთან, ირკუტსკისთან, იმიერ-კასპიის ოლქთან და თურქესტანთან. საზოგადოებას ყოველ წლივ სულ უფრო ბევრი ღვინო გააქვს და ამჟამად მის-მიერ გატანილ ღვინის რაოდენობა უდრის მთელ გაყიდულ ღვინის $^1/_2$-ს. საზოგადოების უმთავრესი მუშტრები კერძო მხმარებლები არიან: აფიცერთა საეკონომიო საზოგადოებანი, მხმარებელთა და საეკონომიო საზოგადოებანი და ამხანაგობანი, და სხ. ფირმამ „კეხეთმა“ დიდი ნდობა დაიმსახურა მხმარებელთა მხრივ, რომელთა რიცხვი ყოველ წლივ ჰმატულობს.

1898 წ. 1-ლ აგვისტომდე საზოგადოებას ჰყავდა 69 წევრი, რომელთაც ჰქონდათ 540$^1/_2$ დს. ვენახი, მათი საწევრო სადესეტინო ფული შეადგენდა 8375 მან., საზოგადოების ვალდებულებათა უზრუნველ საყოფელი თანხა 83750 მან., ამას გარდა საზოგადოება პასუხს აგებს თავისის უძრავ-მოძრავის ქონებითა და წევრთაგან მიღებულ ღვინით, რაც შეადგენდა 85948 მ. და 93 კ.; ამსახით მთელი პასუხის გება საზოგადოებისა 1898 წ. 1-ლ აგვ. უდრიდა 169,698 მან. და 93 კ. იმავე წელს საზოგადოებას ჰქონდა 36130,2 ვედრო ღვინო 108959 მ. და 54 კ. ღირებულობისა; ამ ღვინიდგან წლის განმავლობაში გაიყიდა 21439,1 ვედრო, 102791 მ. და 62 კ. ღვინო საშუალო რიცხვით იყიდებოდა 4 მან. და 79 კ., ხოლო ყიდულობდნენ 3 მ. და 01 კ. ვედროს. წევრთ მათგან მიღებულ ღვინოში მიეცათ 60,243 მ. და 34 კ. 1-ლ აგვისტომდე მისაღები ჰქონდათ კიდევ 11019 მან. და 16 კ. საანგარიშო წელში საზოგადოებამ შეიძინა ვენახების სამკურნალო მასალა 7905 მ. 73 კ. საზოგადოებას 1898 წ. 1-ლ აგვისტომდე თამასუქით 43900 მან. ვალი ჰქონდა. ხარჯი საანგარიშო წელს უდრიდა სულ 27,782 მან. 21 კ. წმინდა მოგება დარჩა 9,473 მან. და 86 კ. ამ ფულიდგან საზოგადოებამ ზარალად ინგარიშა 7,889 მ. და 37 კ. საეჭვო თამასუქების გამო, თუმცა ამ თამასუქებით ფულის ამოგების იმედი ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია, და ამ სახით წმინდა მოგება დარჩა 1,584 მან. და 49 კ.

1898 წ. 1-ლ აგვისტოს ბალანსით საზოგადოების აქტივი და პასივი უდრის 85,948 მ. და 93 კ.

ზემო მოყვანილ ციფრებიდგან და აგრეთვე მათის წინა საანგარიშო წლის ციფრებთან შედარებიდგან სჩანს: 1) საზოგადოების-მიერ წევრთაგან მიღებულ ღვინის რაოდენობა იზრდება ყოველ წლივ: 1895 წლის მოსავლისა იყო 10,916 ვედრო—45461 და 06 კაპეიკისა, 1896 წლისა—18,541—62652 მ. და 85 კაპ., 1897 წლისა 27122,2 ვედრო—71,718 მ. და 58 კაპეიკისა, 1898 წლის—მიიღო საზოგადოებამ და ხელში აქვს 48,469 ვედრო 90872 მ. 31 კ. იზრდება ყოველ წლივ გაყიდულ ღვინის რაოდენობაც: 1-ლ საანგ. წელს გაიყიდა

19 თვეში 24199 ვედრო—6110 მ. და 73 კ.

მეორე საანგ. წელს

12 თვეში 21,439,1 ვედრო—8565 მ. და 83 კ.

2) სამოქმედო წლის დამლევს ღვინო ცოტა რჩება. ამის გამო საზოგადოება იანვრიდგან, ხან-კი უფრო ადრეც, იძულებულია გაყიდოს მაჭარი. ეს გარემოება გვიჩვენებს დიდ მოთხოვნილებას ღვინისას და საზოგადოებაში ახალ წევრთა მიღების საჭიროებას ღვინის რაოდენობის მოსამატებლად.

3) ღვინის სიკეთესა და გამძლეობას ამტკიცებს მისი მცირე კლება.

4) წევრთაგან ღვინოში აღებული ფული ჩაითვლება საკმარისად ღვინის საბაზრო ფასებთან შედარებით.

5) წევრებთან ანგარიშის გასწორება უფრო და უფრო უძნელდება საზოგადოებას ღვინის რაოდენობის მომატებასთან ერთად.

6) თვისი ვალები საზოგადოებამ შეამცირა 49,860 მანეთიდგან 43,900 მანეთამდე.

7) საზოგადოებას სესხი ძალიან ძვირად უჯდება.

8) საზოგადოების საწარმოებელი თანხა სწრაფად იზრდება.

1896 წ. 2 იანვ. საწარმოებელი თანხა უდრიდა 12455 მ. და 31 კ., 1897 წ. 1 აგვ. საწარმოებელი თანხა უდრიდა 21827 მ. და 36 კ. 1898 წ. 1 აგვ. საწარმოებელი თანხა უდრიდა 31,029 მ. და 76 კაპ. წმინდა მოგება 1-ლ საანგ. წ. მთელ წარდგენილ ღვინის ღირებულებასთან შედარებით უდრიდა 7,3 $^0/_0$-ს; მეორე წელს-კი—2, 2$^0/_0$-ს.

საზოგადოებას განზრახვა აქვს, რომ ის სარგებლობა, რომელიც მიეცემა მას სავაჭრო ხარჯების შემცირების გამო, მოახმაროს მთლად თავისს მხმარებელთ. თავისს წევრთ საზოგადოებამ თავიდგანვე საგრძნობი სარგებლობა მოუტანა: უზრუნველ ჰყო მათი ღვინის გასაღება, აწვდის

ნოდის, რამეთუ სირცხვილსა შეუდგეს პატივი და სიყვარული, ხოლო შიშსა სიძულილი.

საეკლ. მუზ. № 153

* * *

ზოგჯერ გაიჭრება გულსაკლავ სიტყვითა, რაც არ გაიჭრება ხმლით დაშნითა.

ლასურიძე

* * *

ყოველივე კეთილი გინა ბოროტი თავისა ცნობისა და გონებისაგან იქმნების.

პლატონ ფილოსოფ.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ დღეებში ვენაში გარდაიცვალა 96 წლის მოხუცი ლეოპოლ ფონ-ბლიუმენკროკი. ფონ-ბლიუმენკროკი, როგორც გაზეთები იუწყებიან, უხნესი ჟურნალისტი იყო მთელს დედამიწის ზურგზედ. ჯერ კიდევ ამ ერთის თვის წინად ბლიუმენკროკი ასრულებდა ერთის გაზეთის მთავარ-რედაქტორის თანამდებობას. ახალგაზდობაში აფიცრად იყო, შემდეგ აფიცრობას თავი გაანება და ჟურნალ-გაზეთობას მიჰყო ხელი. იშვიათი მოვლენაა, რომ ჟურნალისტმა, რომელიც თავისს სიცოცხლეში ათას ჭირსა და წვალებას გამოივლის ხოლმე, 96 წლამდე მიაღწიოს.

* * *

ევროპაში დღესაც-კი ბევრსა ჰგონია, რომ ახალი ზელანდია ველურთა ქვეყანაა, რომ იქ ველურების გარდა სხვა არავინა სცხოვრობს. მართლაცა და დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, როდესაც ეს ქვეყანა ველურთა სამფლობელოს და სრულ საბრძანებელს შეადგენდა. ჯერ კიდევ ყველას ახსოვს კაპიტანის გრანტის შვილებმა რა ტანჯვა-წვალება გამოიარეს ამ ახალ ზელანდიაში ველურებს შორის. თუმცა მას შემდეგ ცოტა ხანმა განვლო, მაგრამ ამ ცოტა ხანმაც იმდენად შესცვალა ეს კუნძული, რომ წინანდელთან აღარავითარი მსგავსება აღარა აქვს. განათლებით იქ მცხოვრებნი არამც თუ კარგა მაღლა სდგანან, არამედ ბევრს ევროპის სახელმწიფოს მაგალითობასაც გაუწევენ. შარშან, მაგალითად, ახალ ზელანდიის პარლამენტმა ახალი კანონი გამოსცა, რომლის ძალითაც შეუძლებელს მოხუცს უეჭველად პენსია უნდა დაენიშნოს. პენსია, არა უმცირესს 200 მანეთისა, ამ კანონის ძალით, უნდა მიეცეს სამოცი წლის და სამოცზედ უხნესის ახალ-ზელანდიის მოქალაქეს, რომელიც უკანასკნელ 12 წლის განმავლობაში საპყრობილეში არა მჯდარა. საზოგადოდ ახალი ზელანდია თითქმის ყოველის მხრით მოწყობილი ახალშენია ინგლისისა. თუმცა ინგლისის იმპერიას ეკუთვნის, მაგრამ ნამდვილად-კი სრული თვით-მმართველობა აქვს მინიჭებული. ადგილობრივი მცხოვრებნი თვით განაგებენ თავიანთ საქმეებს.

* * *

ერთს რუსულს გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი უცნაური ამბავი: „როგორც შევიტყეთ ქ. რიგაში მცხოვრებს ერთ ქვრივს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს და უთხოვნია, ქალწულობის გვარი დამიბრუნეთო. შუამდგომლობაში ამის საბუთად ის არის დასახელებული, რომ ჩემი განსვენებული ქმარი, რომელთანაც 20 წელიწადი ვცხოვრობდი, ქალი იყოო...“

— „რატომ აქამდის არ გამოაცხადე,“ — ჰკითხეს ქალს. „მრცხვენოდა და იმიტომ ვერ გავამხილეო“. ხსენებული გაზეთი ამ შუამდგომლობას უცნაურსა და დაუჯერებელს ეძახის; მაგრამ როგორც სამკურნალო გაზეთი „Врачъ“-ი იუწყება, უცნაური და დაუჯერებელი აქ არაფერია და ასეთი ამბები სხვაც ბევრი მომხდარაო. ამ გაზეთის სიტყვით, ექიმს ფრანც ნეიგებაუმს შეუკრებია ცნობები 50 ისეთ ქორწინების შესახებ, როდესაც ცოლი და ქმარი ერთის სქესისა ყოფილან. პატივცემული ექიმი ამბობს, რომ ცხოვრებაში ისეთი ქორწინება უფრო ხშირია, ვიდრე ჩვენა გვგონია: ბევრი არ ამხელს და ისე კვდება, რომ არავის უცხადებს ამ ამბავს. ზემოდ დასახელებულ 50 ქორწინებიდგან 46 მამა-კაცებს შორის მომხდარა, ხოლო 3 დედაკაცებს შორის. ერთის შესახებ საკმაო ცნობები არა ყოფილა შეკრებილი.

„ივერიის“ ფოსტა.

ა—ლის. დაგვიანებული ამბავია.

ქ. ხ—ი რაზონიორს. არ დაიბეჭდება.

სოფ. ჭ—ნი. რა—ს. ვინ არ იცის, რომ „სწავლა სინათლეა და უსწავლელობა —სიბნელე“, მაგისათვის გძელის წერილების წერა არა ჰღირს.

დ. ქ—თი. გ. ბ—ძეს. არ დაიბეჭდება.

დ. ს—ბი. ს. რ—შვილს. არ დაიბეჭდება.

მლ. გ—შვილს. თქვენ მიერ მარტში გამოგზავნილი წერილი ამ ახლო ხანებში დაიბეჭდება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 ივლისი.

პეტერბურგი. თერგის ოლქის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი დათხოვნილ იქმნა ეხლანდელ თანამდებობიდგან, რადგან დანიშნულია თურქესტანის ჯარის პირველ კორპუსის უფროსად.

ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა, 12 ივლისს, მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის ცხედრის მოსვენების დღეს, სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობის მიმღებმა თავი მოიყარონ ნიკოლოზის რკინის გზის სადგურში ნაშუადღევის 5 საათ., ვინაც ცერემონიაში მონაწილეობას არ იღებს—6½ საათ. პეტრეპავლეს ტაძარში.

ეკატერინოდარი. დღეს. საღამოს 4 საათ., ეკატერინოდარში გაიარა საიმპერატორო ვაგონმა უავგუსტოესის სახლობით, და ერთი საათის შემდეგ—სამგლოვიარო ვაგონმა ღვთივ განსვენებულ მემკვიდრე ცესარევიჩის ცხედრით.

ვენახისათვის სამკურნალო საშუალებას, ისტუმრებს იმათ ვალებს და სხვ.

ამ ცნობიდგან სჩანს, რომ საზოგადოება მარჯვედ ჰმოქმედებს. მაგრამ ნაყოფიერ მოქმედების მიუხედავად, საზოგადოებას ჯერ მაინც სრულიადაც არ შეუსრულებია თავისი დანიშნულება და სამოქმედო და გასათავებელ-შესასრულებელი ჯერ კიდევ ბევრი აქვს...

როგორც ვთქვით, ადგილობრივ ბაზრებს არ შეუძლიანთ მოიხმარონ მთელი ამიერ-კავკასიაში მოსული ღვინო; მაშასადამე, საზოგადოების მოვალეობაა გაიტანოს ღვინო კავკასიის გარეთ, უმთავრესად რუსეთის დიდ ბაზრებში, მაგრამ ამისათვის საჭიროა ძირიანად შეიცვალოს ადგილობრივი მამა-პაპური წესი მეღვინეობისა უფრო გონივრულის წესებით. გარდა ამისა, რადგან საქმის ასე წარმართება მოითხოვს მრავალ ღვინოს, ამის გამო საჭირო ჰხდება გაფართოვებულ იქმნას წარმოება ღვინის რაოდენობის მომატებით, რაც შესაძლებელია ახალ წევრთა მიღებით.

მაგრამ წარმოების გასაფართოებლად საჭიროა უფრო დიდი საწარმოებელი თანხა, ვიდრე საზოგადოებას აქვს. ჯერ კიდევ 189⁷/₈ წ. საზოგადოებას არ ეყო ფული წევრებთან ანგარიშის გასასწორებლად. მით უმეტეს არ ეყოფა ეს თანხა მიმდინარე 1898—99 წ., როცა წევრებმა საზოგადოებაში წარადგინეს შარშანდელზედ ორჯელ მეტი ღვინო. საჭირო საწარმოებელ თანხის რაოდენობა შეიძლება გამოირკვეს შემდეგის სახით:

1899 წ. 1-ლ აგვისტოს ბალანსით საზოგადოებას ჰქონდა საკუთარი ფული—31029 მან. და 76 კ. და ნასესხები—43900 მან., სულ 74929 მ. და 76 კ.; ეს ფული საზოგადოებას არ ეყო წევრებთან ანგარიშის გასაწმენდად, რომელთაც ერგებოდათ კიდევ 11,019 მან. და 16 კ.; მაგრამ საზოგადოებას, ამას გარდა, ნაღდი ფული ჰქონდა 4,474 მ. და 54 კ.; თუ ამ ფულს გამოვაკლებთ 11,019 მან. და 16 კაპეიკიდგან და დანარჩენს 6544 მ. და 62 კ. შევაერთებთ 74,929 მ. და 76 კ., განვსაზღვრავთ 1898 წ. 1 აგვისტომდე საჭირო საწარმოებელ თანხას, რაც გამოიხატება 81,474 მანეთისა და 39 კაპიკით.

მიმდინარე 1898-99 წ. მეტი ღვინის მიღების გამო საზოგადოებას დასჭირდება საწარმოებელ თანხის მომატება შემდეგ საჭიროებათათვის: 1, ავანსის გასაცემად 30,000 მან., 2, ჭურჭლეულობის შესაძენად 8,000 მან., 3, გაუმჯობესებულ იარაღთა და მანქანების შესაძენად—3,000 მან. და 4, დარჩენილ ღვინისათვის, რომლის ნახევარი ნაწილი შემდეგის წლისათვის შეინახება 15%-ის გამოკლებით 30,000 მ., სულ 71,000 მანეთი.

ამ ნაირად, მიმდინარე წლისათვის საჭიროა საწარმოებელი თანხა 152,474 მან. და 39 კ. (71,000 მ.+81,474 მ. და 39 კ.). აქედგან საზოგადოებას საკუთარი ფული აქვს 31,029 მ. და 76 კ., დანარჩენი-კი 120,000 მანეთზედ ცოტა უფრო მეტი საზოგადოებამ სესხით უნდა შეავსოს.

საკმარისის საწარმოებელ თანხის უქონლობა საზოგადოებას ნებას არ აძლევს ისე ფართოდ წარმართოს საქმე, როგორც საჭიროა კავკასიის გარეშე ბაზრების დასაკმაყოფილებლად; ამასთან ასეთის თანხის უქონლობა დიდად საზარალოა საზოგადოების წევრთათვის, რადგან მათ ჩქარა არ შეუძლიანთ მიიღონ საზოგადოებისაგან ფული თავიანთ ღვინოში; ამ მიზეზის გამო შეუძლებელია ახალ წევრთა მიღება წარმოების გასაფართოებლად, რადგან ეს გამოიწვევს თანაბარ მომატებას საწარმოებელ თანხისას. ყოველივე ამის გამო საზოგადოებამ უკვე მიჰმართა მთავრობას და სთხოვა პირიანის სარგებლით სესხის აღმოჩენა, რაც, თუ გავითვალისწინებთ იმ სარგებლობას, რომელიც ამ საზოგადოებას მოაქვს, იმედი უნდა გვქონდეს, რომ დაკმაყოფილებული იქნება.

პეტერბურგის ბირჟა, 9 ივლისი

	მყიდვე ლის.	გამყიდ-ველისა.	გაყიდუ-ლისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
5% ს. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა	— „	— „	206½
3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . .	94	— „	— „
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა .	— „	102	— „
5% იმავე ბანკისა.	99½	— „	— „
5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . .	— „	100½	— „
4½% იმავე ბანკისა	— „	100	— „
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . .	— „	100	— „
4½% იმავე საზოგადოებისა. . .	— „	98	— „
5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	— „	— „	290
5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი	— „	— „	252

განცხადებანი

გამგეობა ამიერ-კავკასიის რკინის გზისა აცხადებს საყოველთაოდ, რომ, რადგანაც მატარებლები № 1 და 2 სავსეა ხოლმე შორეულ სადგურებზედ მიმავალ მგზავრებით, ამიტომ ამა წლის 15 ივლისიდგან ახალ განკარგულებამდე ამ მატარებლებზედ მგზავრობა და აგრეთვე ბარგის გაგზავნა მახლობელ სადგურამდე, დაწყებული ავჭალის სადგურიდგან გორამდე, მოისპობა.

ყველა მგზავრები, რომელნიც ტფილისიდგან მახლობელ სადგურებში მიდიან გორამდე, უნდა წავიდნენ მატარებლებით №№ 7 და 8, რომელნიც იმ აზრით არის შემოღებული, რომ მატარებლები №№ 1 და 2 მეტად არ გაივსოს ხოლმე ხალხით.

(7—3)

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ისყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. **კუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

ნ. წერეთელი

(50—6.—1)

პეტერბურგის სამკურნალო გამგეობის ნება-დართვით ისყიდება პროვიზორის შიხინოვისაგან გამოგონილი

ახალი მარგებელი სასმელი ყავა

ტფილისსა, გორსა, განჯასა, გუმბრსა, ქუთაისსა, ბათუმსა, ფოთსა და სხვა ქალაქების ყველა საუკეთესო მაღაზიებში. (10—6.—3)

გამოვიდა გასასყიდად ბროშიურა რუსულს ენაზედ:

НОВАЯ ПОСТАНОВКА ПЕДАГОГИЧЕСКАГО ДѢЛА ВЪ УЧЕБНЫХЪ ЗАВЕДЕНІЯХЪ

თხზ. ი. პ. როსტომაშვილისა, ფასი 20 კაპ.

წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 30%, თუ დაიბარებენ არა ნაკლებ 5 მანეთისა, და გაგზავნითაც ჩვენ გავუგზავნით. **ადრესი:** ტფილისი, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს.

დაიბეჭდა და ისყიდება

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი

ა. ს. პუშკინისა

ფასი 50 კაპ.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთვრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1899—1900 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევის და მთის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანველიანცს, ტფილისს. (24—8)

Дозволено цензурою. Тифлисъ 10 го Іюля 1899 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.